

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ **ხელშეკრულებით** და/ან მისი **დანართ(ებ)ით** სხვა რამ პირდაპირ არ არის განსაზღვრული ან მისი/მათი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **ხელშეკრულების** და/ან მისი **დანართ(ებ)ის** მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ანგარიში	მსესხებლის, ბანკში არსებული, ნებისმიერი ანგარიში , მათ შორის, მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიში , რომელზეც აღირიცხება ფულადი სახსრები და რომელსაც მსესხებელი განკარგავს გადახდების განსახორციელებლად და/ან სხვა მიზნით. ანგარიში მოიცავს საბარათო და საანაბრო ანგარიშსაც .
აკრედიტივო	ხელშეკრულების და შემადგენელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად კლიენტის დავალების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული საკრედიტო პროდუქტი .
არასანქცირებული ოვერდრაფტი	მსესხებლის ანგარიშზე შესაბამისი დადებითი ნაშთის არ არსებობისას და/ან ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ანგარიშზე სადებეტო ნაშთის ასახვა, რაც გამოწვეულია რეგრესული მოთხოვნის, ბანკის მიერ დაწესებული საკომისიოს და/ან ნებისმიერი სხვა გადასახდელის, მათ შორის, საპროცენტო სარგებლის დარიცხვის და/ან ბანკის ავტორიზაციის დადასტურების მიღების გარეშე შესრულებული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის/ ტრანზაქციის შესრულებით. ამასთან, არასანქცირებული ოვერდრაფტია სადებეტო ნაშთი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ოვერდრაფტის ლიმიტის ცალმხრივად შემცირებისას და წარმოადგენს სხვაობას ოვერდრაფტის ლიმიტსა და შემცირებულ ოვერდრაფტის ლიმიტს შორის.
განსაკუთრებული პირობები	ბანკის მიერ განსაზღვრული და მსესხებლისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი განსაკუთრებული პირობები, რომლის შესრულების პირობითაც გაიცემა კრედიტი და რომელიც (არსებობის შემთხვევაში) დანართის სახით თან დაერთვება ხელშეკრულებას და/ან შემადგენელ ხელშეკრულებას .
გრაფიკი	ინფორმაცია კრედიტის, საკომისიოს, საპროცენტო განაკვეთის დაფარვის/გადახდის თანმიმდევრობის და/ან ვადების შესახებ, რომელიც მსესხებელს შეიძლება მიეწოდოს ბანკისათვის მისაღები ფორმით და რომელშიც მოცემულია: შენატანების ოდენობა, ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს შენატანების განხორციელების პერიოდულობა, საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის დაფარვის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის თარიღი.
დავალიანება/დავალიანების ძირითადი თანხა	საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ფარგლებში ჯამურად გადასახდელი თანხა, რომელიც არ დაიფარა ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულ ვადაში/პერიოდულობით.
დანართი	წინამდებარე ხელშეკრულების და/ან შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის ნებისმიერი დანართი, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
თავსართი	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილი ხელშეკრულების თავსართი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები და სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია.
თანამონაწილეობის თანხა	თანხობრივი სხვაობა კრედიტით შესაძენი ნივთის და/ან მისაღები მომსახურების ღირებულებასა და კრედიტს შორის, რომელსაც იხდის მსესხებელი .
კანონმდებლობა	საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
მსესხებელი ან კლიენტი	პირ(ებ)ი, რომლის მოთხოვნითაც გაიცემა საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი და რომელიც იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით ან/და შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის გადაიხადოს/დააბრუნოს მიღებული კრედიტი მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით (ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებელი ან კლიენტი საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში და საბანკო გარანტიის წერილში შეიძლება განისაზღვროს როგორც პრინციპალი ან აპლიკანტი).
მსესხებლის ფულადი სახსრები	ფულადი სახსრები, რომელიც მსესხებელს მიღებული აქვს: შრომითი ანაზღაურებიდან და/ან აქტივების რეალიზაციიდან და/ან მემკვიდრეობით და/ან სხვა მსგავსი ტიპის შემოსავლებიდან.
პირგასამტებლო	ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით და/ან შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ შემთხვევებში.

<p>საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები საკრედიტო ლიმიტი ან კრედიტი</p>	<p>ბანკის ვებგვერდზე განთავსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით. ბანკის მიერ მსესხებელზე გაცემული ფულადი სახსრები, რომელიც მსესხებელმა უნდა დაუბრუნოს ბანკს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, მსესხებლის მიერ ოვერდრაფტით სარგებლობის მიზნებისთვის საკრედიტო ლიმიტი ან კრედიტი გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიერ მსესხებლის ანგარიშზე დაწესებულ/დაშვებულ სადებეტო ნაშთს, რომელიც მსესხებელს საშუალებას აძლევს, თავის ანგარიშზე დაწესებული სადებეტო ნაშთის (ოვერდრაფტის ლიმიტის) ფარგლებში ერთჯერადად ან მრავალჯერადად გამოიყენოს ანგარიშზე რიცხულ თანხაზე მეტი თანხა.</p>
<p>საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი</p>	<p>ნებისმიერი სახის საბანკო პროდუქტი, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: საკრედიტო ხაზი, რევოლვერული კრედიტი, ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საბანკო გარანტია და/ან ნებისმიერი სხვა მსგავსი პროდუქტი.</p>
<p>საბანკო გარანტია</p>	<p>ხელშეკრულების და შემადგენელი ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული საკრედიტო პროდუქტი, რომელიც მიზნად ისახავს მესამე პირის (ბენეფიციარი) მიმართ კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, საბანკო გარანტიის წერილში მითითებული ოდენობითა და პირობებით.</p>
<p>სანქცია/სანქციები</p>	<p>ნიშნავს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ ფინანსურ სანქციას, სავაჭრო ემბარგოს ან მსგავს ზომას, რომელიც მიღებულია, ადმინისტრირებულია ან აღსრულებულია რომელიმე შემდეგი სუბიექტის (ან ამ სუბიექტის ორგანოს მიერ) მიერ: (ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; (ბ) ამერიკის შეერთებული შტატები; (გ) ევროკავშირი და/ან მისი რომელიმე ამჟამინდელი ან მომავალი წევრი ქვეყანა.</p>
<p>სანქცირებული პირი</p>	<p>ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიულ პირი, რომელიც წარმოადგენს სანქციის დასახელებულ სამიზნეს ან სხვაგვარად წარმოადგენს სანქციის ობიექტს (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემთხვევას, როდესაც პირი (ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება და/ან მფლობელობაშია ნებისმიერი პირის, რომელიც არის სანქციების დასახელებული სამიზნე, ან (ბ) რეგისტრირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და/ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე ან რეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ან ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სანქციების ობიექტს).</p>
<p>საპროცენტო სარგებელი ან საპროცენტო განაკვეთი</p>	<p>კრედიტით, საბანკო გარანტიით, აკრედიტივით ან ნებისმიერი საბანკო პროდუქტით სარგებლობისთვის გათვალისწინებული საზღაური, რომლის დაანგარიშების, გამოთვლის და დარიცხვის წესი მოცემულია ხელშეკრულებაში. ამასთან, საპროცენტო სარგებელი გამოიხატება წლიურ საპროცენტო განაკვეთში წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით. თუ ბანკის მიერ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით და ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის დავალიანების ძირითადი თანხის სრულად დაფარვის) სრულად შესრულების დღემდე.</p>
<p>უზრუნველყოფა</p>	<p>მსესხებლის და/ან მესამე პირის მიერ შემადგენელი ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის სასარგებლოდ გაცემული/დატვირთული უზრუნველყოფის საშუალება.</p>
<p>შემადგენელი ხელშეკრულება</p>	<p>ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა და/ან ბანკსა და/ან მესამე პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელზეც სრულად ვრცელდება ხელშეკრულების პირობები.</p>
<p>ხელშეკრულება</p>	<p>ბანკსა და მსესხებელს შორის დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელი შეუერთდა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, ხელშეკრულების ეს სტანდარტული პირობები და ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი.</p>
<p>ხელშეკრულების სტანდარტული პირობები</p>	<p>წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით.</p>
<p>ხელშეკრულების არასტანდარტული პირობები</p>	<p>ხელშეკრულების დანართით N2 (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით.</p>

1.2. ამასთანავე, წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებში განსაზღვრულ ტერმინებს, თუ ხელშეკრულებით და/ან მისი დანართ(ებ)ით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ან მისი/მათი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 2. მსესხებლის ვალდებულებები და ბანკის უფლებამოსილება

- 2.1. მსესხებელი იღებს ვალდებულებას:
 - 2.1.1. სრულად აწარმოოს ანგარიშზე თავისი საბანკო ბრუნვების 100% (ასი პროცენტი), მათ შორის, სახელფასო პროგრამა, სხვა შემოსავლები და სავალუტო კონვერტაციები. ასევე, თავისი საქმიანობის ფარგლებში გამოიყენოს ბანკის გადახდის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს პოსტტერმინალებს) საშუალებები;

- 2.1.2. დაიცვას **კრედიტის (საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის)** მიზნობრიობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 2.1.3. **ბანკის** მოთხოვნისთანავე მიაწოდოს **ბანკს** ნებისმიერი ანგარიში, დებულება და/ან დოკუმენტი თავისი ფინანსური მდგომარეობის და საბანკო ოპერაციების შესახებ. ასევე, **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, **მსესხებლის ანგარიშებზე** თანხის ჩარიცხვისა და გადარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტები), რომელიც დაადასტურებს **მსესხებლის ფულადი სახსრების წარმომავლობას** და/ან იმ ფაქტს, რომ **კრედიტის** დაფარვა ნამდვილად განხორციელდა **მსესხებლის ფულადი სახსრებით**.
- 2.1.4. **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დროს დაუშვას **ბანკის** თანამშრომლები თავის (**მსესხებლის**) საწარმოში და/ან საცხოვრებელ ფართობზე და/ან ოფისში და/ან საქმიანობის სხვა ადგილას და მიაწოდოს **ბანკს ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია. ამასთანავე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ გამოიყენებენ ყველა გონივრულ ქმედებას, რათა ამგვარი ვიზიტისას არ მოხდეს **მსესხებლის** სამუშაო პროცესის შეჩერება;
- 2.1.5. შეასრულოს წინამდებარე **ხელშეკრულებით** და **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებები სრული მოცულობით;
- 2.1.6. **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე: არ იკისროს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები (არ აიღოს ან გასცეს სესხები, კრედიტები და/ან არ ისარგებლოს სხვა ანალოგიური პროდუქტით) და არ განახორციელოს (დაუშვას) საკუთარი მოძრავი და უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვა, როგორც თავისი, ისე სხვა პირის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, ასევე, არ დაუდგეს თავდებად **მესამე პირს**;
- 2.1.7. რომ ის, მისი აფილირებული პირები და მისი ჯგუფის არცერთი წევრი, **ხელშეკრულების** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში (ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გამოიყენებს **კრედიტს** ან **კრედიტიდან** ან **ხელშეკრულებიდან** (მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულებიდან**) მიღებული შემოსავალს რაიმე ფორმით (მათ შორის, ამგვარი შემოსავლებს არ გამოიყენებს **სანქცირებული პირ(ებ)ის** ან მათთან დაკავშირებული პირ(ებ)ის დასაფინანსებლად და/ან მათი ბიზნესის/საქმიანობის ხელშესაწყობად), რაც გამოიწვევს **ბანკის** მიერ **სანქციების** დარღვევას, და (ბ) უზრუნველყოს, რომ არცერთ პირს, რომელიც წარმოადგენს **სანქცირებულ პირს** არ ჰქონდეს რაიმე უფლება **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებიდან** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ბანკისათვის გადახდილ ან გადასახდელ თანხებზე და რომ **სანქცირებულ პირთან** განხორციელებულ რაიმე საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი ან სარგებელი არ იქნას გამოყენებული **ხელშეკრულების** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულების** ფარგლებში **ბანკის** წინაშე არსებული გადასახდელების გადასახდელად.
- 2.1.8. დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით სფეროში მოქმედი **კანონმდებლობა** – საქართველოს ყველა საკანონმდებლო აქტი, საერთაშორისო შეთანხმებები, კანონი, ბრძანებულება, წესები და რეგულაციები, რომლებიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ნებისმიერ ლიცენზიას, ნებართვას თუ სხვა სახელმწიფო ავტორიზაციას, რომლებიც, თავის მხრივ, აწესებს პასუხისმგებლობას და ადგენს მოქმედების სტანდარტებს გარემოს დაცვით, სოციალურ, შრომით, ჯანმრთელობის და უვნებლობის ან უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებით;
- 2.1.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი შეუსაბამობის ან უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი მოქმედი **კანონმდებლობის** დარღვევის, ნებისმიერი ინციდენტის ან შემთხვევის შესახებ **მსესხებლის** ნებისმიერი პროექტის ფარგლებში, რომელსაც აქვს ან მოსალოდნელია, ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე და თითოეულ შემთხვევაში დააკონკრეტოს ინციდენტის ან შემთხვევის არსი, ზემოქმედება, რომელიც წარმოიშვა ან შესაძლოა წარმოიშვას ადგილზე ან მისგან მოშორებით;
- 2.1.10. დაუყოვნებლივ აცნობოს და შეუთანხმოს **ბანკს** ამ მუხლის 2.1.9. პუნქტში აღნიშნული ზემოქმედების მიმართულებით მისაღები ზომები და შემამსუბუქებელი ან გამოსასწორებელი მოქმედების გეგმა. გაითვალისწინოს **ბანკის** მოთხოვნები და რეკომენდაციები ამგვარი შეუსაბამობის ან დარღვევის გამოსასწორებლად და მიიღოს გამოსასწორებელი ზომები;
- 2.1.11. **ხელშეკრულების** სხვა დებულებების შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** წინასწარი მოთხოვნის შესაბამისად, ნება დართოს **ბანკის** თანამშრომლებს, სამუშაო საათების განმავლობაში ეწვიონ ნებისმიერ შენობას ან იმ ადგილს, სადაც წარმოებს **მსესხებლის** ბიზნესსაქმიანობა; დაათვალიეროს **მსესხებლის** ნებისმიერი დაწესებულება, საწარმო და მოწყობილობა; ჰქონდეს წვდომა **მსესხებლის** საბუღალტრო დოკუმენტებთან/ ჩანაწერებთან; ამასთანავე, გაუწიოს დახმარება **ბანკის** პასუხისმგებელ თანამშრომელს ამ მუხლის 2.1.6.-2.1.11. პუნქტებში მითითებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობაში.
- 2.1.12. რეგრესული მოთხოვნა შეასრულოს (**ბანკს** გადაუხადოს **ბანკის** მიერ **მესამე პირის** მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხის ოდენობის თანხა) დაუყოვნებლივ **ბანკის** მიერ ამგვარი რეგრესული მოთხოვნის წარდგენისთანავე.
- 2.2. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** იურიდიული პირია, იგი (2.1.1.-2.1.12. პუნქტებით გათვალისწინებულ შეზღუდვებთან/ვალდებულებებთან ერთად) კისრულობს ვალდებულებას, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე:
- 2.2.1. არ გასცეს დივიდენდ(ებ)ი;
- 2.2.2. არ განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები და/ან ინვესტიციები;
- 2.2.3. არ დაიწყოს გაკოტრების, რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაციის პროცედურები.
- 2.3. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 2.3.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრული ნებისმიერი პირობის **მსესხებლის** მიერ დარღვევის შემთხვევაში, ასევე, **მსესხებლის** ნებისმიერი თავდების და/ან **უზრუნველყოფის** საგნის მესაკუთრის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების (მიუხედავად იმისა, თუ ვის მიმართ იყო ამგვარი ვალდებულება ნაკისრი) დარღვევის/შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** და **შემადგენელი ხელშეკრულებები** და/ან გაზარდოს **კრედიტით** სარგებლობის **წლიური საპროცენტო სარგებელი** მაქსიმუმ 4%-ით (ოთხი პროცენტით);

- 2.3.2. **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს **საპროცენტო სარგებლის** ოდენობა, განაახლოს, შეცვალოს (გაზარდოს/შემამციროს) **საკრედიტო ლიმიტი**, ასევე, **საკრედიტო ლიმიტთან, საკომისიოსა და პირგასამტეხლოსთან** დაკავშირებული სხვა სატარიფო განაკვეთები მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუკი ა) ქვეყანაში ადგილი ექნება ინფლაციის დონის ცვლილებას და/ან ბ) გაიზარდება სავალუტო რისკი და/ან გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს საკრედიტო ბაზარზე **კრედიტით** სარგებლობისთვის დაწესებული **საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების)** ცვლილება და/ან დ) რაიმე მიზეზით **ბანკი** ვალდებული იქნება, **კრედიტთან** მიმართებით გასწიოს რაიმე დამატებითი ხარჯ(ებ)ი და/ან ე) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს **ბანკის** მდგომარეობას და/ან ვ) გაიზარდება დარიცხული სარგებელი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, წამყვან პოზიციაზე (აქტივების მოცულობის მიხედვით) მყოფი სამი ბანკის აშშ დოლარით დენომინირებულ ერთწლიან დეპოზიტებზე (რაც უნდა დასტურდებოდეს აღნიშნული ბანკების ოფიციალური ვებგვერდებიდან) და/ან ზ) შეიცვლება საერთაშორისო ბაზრებზე არსებული დოლარის საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტის შესაბამისი ვადიანობის SWAP განაკვეთები. ამასთანავე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში **საპროცენტო სარგებლის (განაკვეთის)** ცვლილებისას გაზრდილი **საპროცენტო სარგებლის (განაკვეთის)** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ პროპორციას, რა პროპორციითაც მოხდა საერთაშორისო ბაზრებზე არსებული დოლარის საპროცენტო განაკვეთის და/ან სადემოხიტი სარგებლის ცვლილება (წინამდებარე **ხელშეკრულების** დადების მომენტიდან **ბანკის** ამ მუხლით განსაზღვრული უფლების გამოყენებამდე); აღნიშნული მიზნებისთვის:
- 2.3.2.1. **ბანკი** ვალდებულია, **მსესხებელს** აცნობოს ამგვარი ცვლილების შესახებ ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- 2.3.2.2. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი (**მსესხებელი**) ვადებულია ამის შესახებ აცნობოს **ბანკს** აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლამდე და სრულად დაფაროს მიღებული **კრედიტი** მასზე დარიცხულ **საპროცენტო სარგებლთან** და **პირგასამტეხლოსთან** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთად.
- 2.3.3. რეგრესის წესით მოსთხოვოს **მსესხებელს** იმ თანხის გადახდა, რომელიც **ბანკმა ხელშეკრულების** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულების** საფუძველზე გადაუხადა **მესამე პირს**. ამგვარი მოთხოვნა **მსესხებელს** წარედგინება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნის წესით.
- 2.3.4. **მსესხებლის ანგარიშზე** დაუშვას დამატებითი **საკრედიტო ლიმიტი** და/ან **არასანქცირებული ოვერდრაფტი** (ამასთან, ყოველი ამგვარი დამატებითი **კრედიტის** და/ან **არასანქცირებული ოვერდრაფტის** ვადა, **საპროცენტო განაკვეთის** და **პირგასამტეხლოს** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულებით** და/ან შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადას და ოდენობებს) და ამგვარი **საკრედიტო ლიმიტიდან** და/ან **არასანქცირებული ოვერდრაფტიდან** დაფაროს **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელი ნებისმიერი სახის გადასახდელი, იმ შემთხვევაში, თუკი **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის რეგრესული მოთხოვნის ასანაზღაურებლად) გადახდის თარიღისათვის, **მსესხებლის ანგარიშზე** არ იქნება შესაბამისი/საკმარისი დადებითი ფულადი ნაშთი.
- 2.3.5. **მსესხებლის** დამატებითი (შემდგომი) აქცეპტის (თანხმობის) გარეშე **მსესხებლის ანგარიშიდან** ჩამოჭრას/გადაიხადოს/გადარიცხოს **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი გადასახდელი (მათ შორის, რეგრესული მოთხოვნის შესასრულებლად) და/ან გადაურიცხოს **მესამე პირებს კრედიტი, თანამონაწილეობის თანხა** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** და/ან **მსესხებლის** მიერ გასაწევი/გაწეული ყველა ხარჯი). ამასთანავე, თუ **მსესხებლის ანგარიშზე** რიცხული თანხა გადასახდელისგან განსხვავებული ვალუტითაა, **ბანკს** შეუძლია თავადვე მოახდინოს ჩამოჭრილი/გადასახდელი/გადასარიცხი თანხის **მსესხებლის** ხარჯზე კონვერტაცია შესაბამისი ვალუტით (მათ შორის, **კრედიტის** ვალუტით) ჩამოჭრის/გადახდის/გადარიცხვის თარიღისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით და მიმართოს იგი გადასახდელ(ებ)ის, ხარჯ(ებ)ის და **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად/შესასრულებლად. **მხარეები** დამატებით თანხმდებიან, რომ თუკი **ხელშეკრულებით** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულებით** განსაზღვრული რაიმე გადასახდელი მითითებულია ეროვნული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში და **კანონმდებლობა** კრძალავს ამგვარი გადასახდელის ეროვნული ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში მიღებას, **ბანკი** თავის შეხედულებისამებრ განხორციელებს გადასახდელის **მსესხებლის** ხარჯზე კონვერტაციას ეროვნულ ვალუტაში ჩამოჭრის/გადახდის/გადარიცხვის თარიღისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული ან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად;
- 2.3.6. **მსესხებლის** დამატებითი შეტყობინების, ნებართვის და/ან თანხმობის გარეშე, **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **მსესხებლის** საკრედიტო ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის, ამგვარ **მესამე პირებზე** გასცეს **მსესხებლის** და/ან **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია და ამგვარ **მესამე პირ(ებ)ს** შესარულებინოს **მსესხებლის** მიერ შესასრულებელი ნებისმიერი ფულადი ვალდებულება.

მუხლი 3. მსესხებლის განცხადებები და გარანტიები

- 3.1. წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით **მსესხებელი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
- 3.1.1. **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერის დროისთვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, დაფუძნებული **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);
- 3.1.2. **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისთვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მოპოვებულია/მოპოვებულ იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

- 3.1.3. გაეცნო/გაეცნობა **ხელშეკრულების გრაფიკს** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რომელიც გადაეცა/გადაეცემა მსესხებელს ბანკის მიერ **მსესხებლის** მოთხოვნისთანავე;
 - 3.1.4. **ხელშეკრულება** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ი** დადებულია/დაიდება მის (**მსესხებლის**) მიერ ნებაყოფლობით მეორე მხარის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან მის მიმართ ძალაღობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
 - 3.1.5. **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო და/ან სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;
 - 3.1.6. გარდა მის მიერ **ბანკისთვის** წინასწარ წერილობით გაცხადებული შემთხვევებისა (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერის მომენტისთვის ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას და/ან მის მიერ **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობების შესრულებას;
 - 3.1.7. მისი ქმედება არ არის/არ იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** დასადებად, ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი დოკუმენტი და/ან ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისთვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების და/ან ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;
 - 3.1.8. **მსესხებელი** ან მისი ჯგუფის რომელიმე წევრი ან აფილირებული პირი, ან მისთვის ცნობილი რომელიმე დირექტორი, მოხელე, აგენტი ან თანამშრომელი არ წარმოადგენს **სანქცირებულ პირს**.
 - 3.1.9. იგი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს **ხელშეკრულებ(ებ)ით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებებით** ნაკისრ ვალდებულებებს.
- 3.2. **მსესხებლის** აღნიშნული **განცხადებები** და **გარანტიები** ძალაშია მხარეთა მიერ **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
 - 3.3. **მსესხებელი** წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მის განცხადებებს და/ან გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა.
 - 3.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **მსესხებლის** ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებას** და/ან **შემადგენელ ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს**.

მუხლი 4. კრედიტის გაცემის, მსესხებლის ვალდებულების შესრულების, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტებლოს დარიცხვის და გადახდის წესი

- 4.1. **კრედიტის** რამდენიმე **მსესხებელზე** გაცემის შემთხვევაში, **კრედიტის** თანხა, **ბანკის** შერჩევით, ჩაირიცხება ერთ-ერთი **მსესხებლის ანგარიშზე**. ამ წესით გაცემული **კრედიტი** ჩაითვლება ყველა **მსესხებლის** მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ **ბანკის** წინაშე სოლიდარულ მოვალეებს, ამასთან სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები. ერთ-ერთი **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევა მიჩნეულ იქნება ყველა **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევად და, შესაბამისად, ყველა **მსესხებელზე** სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.
- 4.2. **მსესხებელი** ვალდებულია, **კრედიტი** და მასზე დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** დაფაროს **ხელშეკრულების** და/ან **გრაფიკის** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) პირობების შესაბამისად, ხოლო **ბანკის** მიერ **საბანკო გარანტიის/აკრედიტივის** გაცემის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია **საპროცენტო სარგებელი/საკომისიო** გადაიხადოს **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** და/ან **გრაფიკის** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულებით** და/ან **გრაფიკით** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული გადახდის **დღე** ემთხვევა **ბანკის არასამუშაო დღეს**, **მსესხებელი** უფლებამოსილია, ამგვარი გადახდა განხორციელოს მომდევნო **სამუშაო დღეს**. ამასთან, თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, ნებისმიერი გადახდა უნდა განხორციელდეს **ბანკის სამუშაო საათებში**. **ბანკის არასამუშაო დღეს** და/ან **ბანკის არასამუშაო საათებში** და/ან **საოპერაციო დღის** დასრულების შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა გადახდილად მიიჩნევა მომდევნო **სამუშაო დღეს**. აღნიშნული წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ გადახდა განხორციელდება **ბანკის** 24-საათიან სერვისცენტრში და/ან ინტერნეტ საბანკო მომსახურების გამოყენებით.
- 4.3. თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნა დადგენილი: (ა) **კრედიტის** დაფარვისას ჯერ იფარება **პირგასამტებლო** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს – **კრედიტის** ძირი თანხა; (ბ) **ოვერდრაფტის** დაფარვისას ჯერ იფარება **პირგასამტებლო** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), **არასანქცირებული ოვერდრაფტი** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს – **ოვერდრაფტის** ძირი თანხა.
- 4.4. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** და/ან **გრაფიკით** განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს მოსთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში **მსესხებელი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ყოველი პირველი ვადაგადაცილებული **დღის პირგასამტებლო** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და **დავალიანების ძირითადი თანხის 0.5** (წული მთელი და ხუთი მეათედი) პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ **დღეზე**. **ბანკის** მიერ **მსესხებლისთვის** მიცემულ დამატებით ვადაში (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დავალიანების სრულად, ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, დამატებითი ვადის ამოწურვისთანავე ჩერდება **პირგასამტებლოს** დარიცხვა ყოველი

ვადაგადაცილებული დღისათვის და ბანკი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს ჯარიმა დავალიანების ძირითადი თანხის 12 (თორმეტი) პროცენტის ოდენობით; პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

- 4.5. მხარეები თანხმდებიან და მსესხებელი აცნობიერებს, რომ საკრედიტო ლიმიტის გაანგარიშებისას ითვლება მხოლოდ გაანგარიშების მომენტისათვის მსესხებელზე გაცემული საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ძირი თანხა. ამასთანავე, ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში და/ან ბანკის თანხმობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მსესხებელი უფლებამოსილია ამგვარი საკრედიტო ლიმიტით ისარგებლოს მრავალჯერადად, რაც არ გულისხმობს ახალი კრედიტით ან საკრედიტო პროდუქტით სარგებლობას და აღნიშნულ მრავალჯერადად სარგებლობაზე სრულად გავრცელდება გაცემულ საკრედიტო პროდუქტებზე უკვე არსებული ან მომავალში დამატებული უზრუნველყოფა. ასევე, ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, კრედიტზე განხორციელებული რეფინანსირება (რაც ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის გულისხმობს, ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში, დამატებითი და/ან პარალელური კრედიტის/საკრედიტო პროდუქტის გაცემას, ამგვარი კრედიტის/საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე უკვე არსებული კრედიტის/საკრედიტო პროდუქტის დასაფარად) არ ჩაითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის დარღვევად და/ან მის გადაჭარბებად.

მუხლი 5. უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობა

- 5.1. მსესხებელი იღებს ვალდებულებას, შესაბამისი უზრუნველყოფით უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის მოთხოვნები, შესაძლო ან არსებული ხარჯები. აღნიშნული მიზნებისთვის მსესხებელმა უნდა:
- 5.1.1. წარმოადგინოს უზრუნველყოფის შესაბამისი საშუალებები და უზრუნველყოს ამგვარი უზრუნველყოფის საშუალებების რეგისტრაციასთან და/ან სრულყოფასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი და/ან მიზანშეწონილი ქმედება;
 - 5.1.2. უზრუნველყოს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისმა მესამე პირებმა ხელი მოაწერონ უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ ამგვარ გარიგებებს და/ან სხვა დოკუმენტებს და განახორციელონ უზრუნველყოფის საშუალებების რეგისტრაციასთან და/ან სრულყოფასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი და/ან მიზანშეწონილი ქმედება.
- 5.2. თუ უზრუნველყოფის შესაბამისი ხელშეკრულებებში (შემადგენელ ხელშეკრულებაში) ერთმნიშვნელოვნად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, თუ უზრუნველყოფის საგანზე გადახდის მიქცევით მიღებული სარგებელი (ბანკის საკუთრებაში გადასული უზრუნველყოფის საგანი ან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა) სრულად არ ფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, გადახდა მიაქციოს მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (მათ შორის, იმ ქონებაზეც, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს). ამასთან, თავისი შეხედულებისამებრ, ბანკი უფლებამოსილია, გადახდა პირველ რიგში მიაქციოს მსესხებლის იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგანს.
- 5.3. თუ მსესხებლის და/ან უზრუნველყოფის მესაკუთრის მიმართვის საფუძველზე ბანკი წერილობით უარს განაცხადებს უზრუნველყოფაზე, ბანკის მოთხოვნები მსესხებლის მიმართ სრული ოდენობით დარჩება ძალაში.
- 5.4. ამასთანავე, ბანკი უფლებამოსილია, მოითხოვოს უზრუნველყოფის შეცვლა მისთვის მისაღები სხვა უზრუნველყოფით, მათ შორის, იმ შემთხვევებში, თუ:
- 5.4.1. უზრუნველყოფის საგნის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა ან არსებობს ამგვარი შემცირების საფრთხე;
 - 5.4.2. უზრუნველყოფის საგანზე წარმოიშვა ნებისმიერი სახის სამართლებრივი და/ან მსგავსი შეზღუდვა;
 - 5.4.3. მესამე პირმა უზრუნველყოფის მესაკუთრის მიმართ შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს უზრუნველყოფის საგანზე (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას ან შეზღუდვას;
 - 5.4.4. გაუარესდება თავდების ან გარანტის ფინანსური მდგომარეობა ან წარმოიქმნება აღნიშნულის რეალური საშიშროება.
- 5.5. მსესხებლის მიერ ამ მუხლის 5.4. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევის (ბანკისთვის მისაღები სხვა უზრუნველყოფის წარმოუდგენლობის) შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და ვადაზე ადრე სრულად გამოითხოვოს კრედიტი და/ან შეუჩეროს მსესხებელს კრედიტით სარგებლობის უფლება.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების დარღვევა და შეწყვეტა

- 6.1. მსესხებლის მხრიდან ქვემოთ მოცემული ნებისმიერი ქმედების განხორციელება წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების მნიშვნელოვან დარღვევას და საკმარის საფუძველს, რომ ბანკმა დაუყოვნებლივ შეუზღუდოს მსესხებელს საკრედიტო პროდუქტებით/საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება და/ან შეწყვიტოს ხელშეკრულება და/ან ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულება, დაიწყოს უზრუნველყოფის (ან მსესხებლის ნებისმიერი სხვა ქონების) საგანზე იძულებითი აღსრულების მიქცევა და/ან ვადადამდე მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის დაფარვა დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთად თუ:
- 6.1.1. მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულების და/ან შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის ნებისმიერ პირობას (მათ შორის, დაირღვევა ხელშეკრულებით და/ან შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ნებისმიერი გადასახდელის გადახდის ვადა და/ან კრედიტის და/ან მისი ნაწილის გამოყენება მოხდება არამიზნობრივად);
 - 6.1.2. მსესხებელი დაარღვევს კრედიტის მიზნობრიობას, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში და/ან მსესხებლის მიერ შევსებულ საკრედიტო განაცხადში;
 - 6.1.3. მსესხებელი დაარღვევს ბანკსა და მსესხებელს შორის არსებულ ნებისმიერ შეთანხმებას და/ან ხელშეკრულებას;
 - 6.1.4. მსესხებლის ნებისმიერი განცხადება და/ან გარანტია აღმოჩნდება მცდარი და/ან არაზუსტი;
 - 6.1.5. მსესხებლის და/ან მსესხებლის ნებისმიერი თავდების და/ან უზრუნველყოფის ნებისმიერი მესაკუთრის მიმართ დაიწყება გადახდისუუნარობის, გაკოტრების, ლიკვიდაციის და/ან მსგავსი ხასიათის საქმის წარმოება;

- 6.1.6. განადგურდება, დაზიანდება, მნიშვნელოვნად შეუმცირდება ღირებულება **უზრუნველყოფას** და/ან საფრთხე დაემუქრება **ბანკის** უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნები **უზრუნველყოფის** საშუალებით;
 - 6.1.7. **მსესხებელი, მსესხებლის** რომელიმე თავდები და/ან **უზრუნველყოფის** ნებისმიერი მესაკუთრე არ ასრულებს შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;
 - 6.1.8. **მსესხებელი** არ ასრულებს თავის რომელიმე ნებისმიერ (მათ შორის, **მესამე პირების** წინაშე ნაკისრ) ვალდებულებას, რომლითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მის მიერ **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - 6.1.9. **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზებით შეწყდება/გაუქმდება, განადგურდება, დაზიანდება რომელიმე **უზრუნველყოფა**, მნიშვნელოვნად შეუმცირდება ღირებულება **უზრუნველყოფას** და/ან საფრთხე დაემუქრება **ბანკის** უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნები **უზრუნველყოფის** საშუალებით;
 - 6.1.10. გაუარესდება **მსესხებლის**, მისი ნებისმიერი თავდების და/ან **უზრუნველყოფის** საგნის მესაკუთრის ფინანსური მდგომარეობა.
 - 6.1.11. თუ რომელიმე იურისდიქციის ფარგლებში **ბანკისთვის** უკანონო გახდა ან გახდება **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შესრულება ან დაფინანსება, გადახდა ან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან თუ **მსესხებელი**, მისი აფილირებული პირები და/ან ან მისი ჯგუფის რომელიმე წევრი გახდება **სანქცირებული პირი**.
- 6.2. წინამდებარე **ხელშეკრულება** ასევე შესაძლებელია შეწყდეს ამ **ხელშეკრულებით** და საქართველოს **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედება

7.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის **დღიდან** ან, **ბანკისთვის** მისაღები სხვა ფორმით, **ბანკისა** და **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულების** დადების დადასტურების (მათ შორის, **ხელშეკრულების** ელექტრონული დადასტურების, რა დროსაც ელექტრონული დადასტურება მატერიალურ დოკუმენტზე პირად ხელმოწერასთან არის გათანაბრებული) მომენტიდან და მოქმედებს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე და **მსესხებლის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1. იმ შემთხვევაში, თუ **მხარეები** არ შეთანხმებულან სასამართლოსთვის დავის განსახილველად გადაცემაზე, წინამდებარე **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა, მათ შორის, ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, „დავების განხილველ ცენტრს“ (DRC, სარეგისტრაციო კოდი: 204547348; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, 1-ელი სართული; ვებგვერდი: www.drc-arbitration.ge). ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ DRC-ის „საარბიტრაჟო წარმოების წესები“ (დებულება) წარმოადგენს **მხარეთა** შორის წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილს, აღნიშნული დებულებით განისაზღვრება ყველა ის საკითხი, რომელთა სხვაგვარად განსაზღვრის უფლებაც **მხარეებს** მიანიჭა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“, მათ შორის, იმგვარი საკითხები, როგორებიცაა: არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის და საარბიტრაჟო განხილვის წესები. ამასთან, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10000 (ათი ათასი) ლარს, დავა გადაწყდება ზეპირი განხილვის გარეშე.

მუხლი 9. კონფიდენციალურობა

9.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით მსესხებელი ბანკს** ანიჭებს უპირობო და უვადო (მიუხედავად **ხელშეკრულების** მოქმედების ვადისა) უფლებას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი, მათ შორის ახალი მომსახურების შეთავაზების, მიზნით, **მსესხებლის** წინასწარი, დამატებითი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:

- 9.1.1. მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის და/ან სხვა ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით მიაწოდოს **მსესხებელს** სარეკლამო/მარკეტინგული ინფორმაცია და/ან კომერციული შეთავაზებები;
- 9.1.2. ინფორმაცია **მსესხებლის** შესახებ გადასცეს თავის შვილობილ კომპანიებს ან სხვა აფილირებულ პირებს, მათ შორის, „სოსიეტე ჟენერალის“ ჯგუფში შემავალ ნებისმიერ კომპანიას, ასევე, ნებისმიერ **მესამე პირს**, რომელთანაც **ბანკი** თანამშრომლობს დაკრედიტების მიმართულებით, ასევე, **ბანკის** აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით;
- 9.1.3. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში:
 - 9.1.3.1. სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია **მსესხებლის** შესახებ, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **მსესხებლის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე, მისი მსხვილი აქციონერებისა/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის (ვალდებულების) წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს,

მოქმედების ვადას, **მსესხებლის** მიერ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და საადრულეზო წარმოების შედეგებს;

- 9.1.3.2. მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ **ბანკის** მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისთვის მიწოდებული **მსესხებლის** მონაცემები ამ დაწესებულებებმა გადასცენ **მესამე პირებს** იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მონაცემებს **ბანკი** მიაწოდებს იმ პირებს, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც ამ დაწესებულებებთან გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება;
 - 9.1.3.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემები **მსესხებლის** შესახებ;
 - 9.1.4. მიაწოდოს **უზრუნველყოფის** საგნის მესაკუთრეს და/ან თავდებ პირს ინფორმაცია **მსესხებლის** ვალდებულებებისა და მათი შესრულების შესახებ.
 - 9.1.5. ნებისმიერი რეესტრიდან და/ან სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერი დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) გამოითხოვოს, მიიღოს და შეინახოს დაცული ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტები) **მსესხებლის** შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა ბაზები (მათ შორის, ელექტრონული ბაზები), ასევე, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და/ან პროცედურა, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან;
 - 9.1.6. მიიღოს მისი (**მსესხებლის**) პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სერვისების განვითარების სააგენტოდან. **ბანკი** ვალდებულია, არ დაუშვას სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გადაცემა **მესამე პირისთვის**, გარდა **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევებისა;
 - 9.1.7. **მსესხებლის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების, აგრეთვე, **შეზღვევითი ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით მიაწოდოს ინფორმაცია **მესამე პირებს**.
- 9.2. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების ხარჯი ეკისრება **მსესხებელს**.

მუხლი 10. შეტყობინებები

- 10.1. **მხარეებს** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით (როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით) ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია **მესაკუთრისათვის** შეტყობინების მიწოდება დეკემბის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით.
- 10.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მსესხებლის** მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე **ხელშეკრულებაში** და/ან (ბ) **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება **მსესხებლისათვის** ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.
- 10.3. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების **დღეს** თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად. შეტყობინების გაგზავნიდან მეორე **დღეს**.
- 10.4. შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.
- 10.5. შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება **კანონმდებლობით** განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.
- 10.6. **მხარეები** ურთიერთობას განხორციელებენ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად ჩაბარებულად.

მუხლი 11. დაზღვევა

- 11.1. **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას, **ბანკის** წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ამგვარის არარსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) **დღის** ვადაში დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის, იპოთეკის საგანი და/ან გირავნობის საგანი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში)) **ბანკის** სასარგებლოდ (ასეთ შემთხვევაში დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს **ბანკი** და/ან **ბანკის** მიერ დასახელებული პირი), იმგვარად, რომ, თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნა მოთხოვნილი: (ა) სადაზღვევო ანაზღაურებით შესაძლებელი იყოს **ბანკის** (და/ან **ბანკის**

მიერ დასახელებული პირის) მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება და (ბ) დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე ნაკლები.

11.2. ამასთან, **მსესხებელი** კისრულობს ვალდებულებას:

- 11.2.1. დაზღვევა განახორციელოს **ბანკისთვის** მისაღებ, მაღალი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიაში;
- 11.2.2. დაზღვევის მომენტიდან 10 (ათი) **დღის** ვადაში წარუდგინოს **ბანკს** დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
- 11.2.3. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) **დღით** ადრე წარუდგინოს **ბანკს** დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვად(ებ)ით;
- 11.2.4. დაიცვას დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.

11.3. **მსესხებლის** მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, დაზღვევის უწყვეტობის/განგრძობადობის უზრუნველყოფის და/ან დაზღვევასთან დაკავშირებით **მსესხებლის** ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

11.3.1. იმოქმედოს **მსესხებლის** სახელით და **მსესხებლის** ხარჯით (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ბანკის** უფლებას, **მსესხებლის** თანხმობის გარეშე, ასევე **მსესხებელზე** გასცეს დამატებითი **კრედიტი** და/ან დაუშვას ოვერდრაფტი იმ ოდენობით, რა ოდენობაც საჭირო იქნება შესაბამისი სადაზღვევო პრემიის ღირებულების დასაფარავად, ამასთან, ყოველი ამგვარი დამატებითი **კრედიტის/ოვერდრაფტის** ვადა, **საპროცენტო განაკვეთის** და **პირგასამტეხლოს** ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულებით** და/ან შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადას და ოდენობებს); შესაბამისად, ამ მიზნით, **მსესხებლის** სახელითა და მის ხარჯზე გამოვიდეს **მესამე პირებთან** (მათ შორის, სადაზღვევო და/ან საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში, დადოს და/ან ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მიმართვას, განცხადებას და/ან სხვა ნებისმიერ დოკუმენტს. **ბანკის** აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული **მსესხებლის** რაიმე დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე და/ან მინდობილობაზე და არ შეიძლება ეს უფლებამოსილება შეიზღუდოს **მესამე პირებთან** (მათ შორის, სადაზღვევო და/ანსაჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში;

11.3.2. **მსესხებლის ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტებითაა, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარავად;

11.3.3. ისარგებლოს **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** დადგენილი სხვა უფლებებით.

11.4. ამასთან, **მსესხებლისთვის** ცნობილია, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში **ბანკი** უფლებამოსილია, განახორციელოს უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა) საგნ(ებ)ისა და/ან გაცემული **კრედიტის** დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა **მსესხებლის** გარდაცვალების შემთხვევისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი თანხების გადახდა სადაზღვევო კომპანიისთვის.

მუხლი 12. ცვლილებები და პრეტენზიები

12.1. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, **მსესხებლის** დამატებითი თანხმობის და/ან აქცეპტის გარეშე, შეცვალოს **ხელშეკრულება** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი **დანართი, საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელშეკრულების არასტანდარტული პირობები** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულების** პირობები). ამგვარი ცვლილებ(ებ)ის განხორციელებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) **სამუშაო დღით** ადრე **ბანკი** მათ შესახებ **მსესხებელს** შეატყობინებს **ბანკის** სტრუქტურულ ერთეულებში განცხადებების განთავსების და/ან **მსესხებლისთვის** ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების გაგზავნის (ელფოსტა, sms) და/ან **ბანკის ვებგვერდზე** აღნიშნული ცვლილების განთავსების და/ან **მსესხებლისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებას **ბანკი** განახორციელებს **მსესხებლის** სასარგებლოდ, მაშინ **იგი** არ არის ვალდებული აღნიშნულის შესახებ აცნობოს **მსესხებელს**.

12.2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულებას** აქვს თავსართი:

12.2.1. **ბანკის** მიერ ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთის** ცალმხრივად ცვლილების უფლების გამოყენებისას, ცვლილების შესახებ **ბანკი მსესხებელს** შეატყობინებს ცვლილების ძალაში შესვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე **ბანკის** სტრუქტურულ ერთეულებში განცხადებების განთავსების და/ან **მსესხებლისათვის** ელექტრონული საშუალებებით შეტყობინების გაგზავნის (ელ ფოსტა; sms); და/ან **ბანკის** ვებგვერდზე აღნიშნული ცვლილების განთავსების და/ან **მსესხებლისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებას **ბანკი** განახორციელებს **მსესხებლის** სასარგებლოდ – ასეთი ცვლილების შემთხვევაში **ბანკი** არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს **მსესხებელს**;

12.2.2. **მსესხებელს** უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია **ბანკის** ხარისხის მართვის დეპარტამენტში ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ზეპირი საჩივარი **მსესხებელს** შეუძლია დააფიქსიროს როგორც **ბანკის** ნებისმიერ თანამშრომელთან, ასევე დარეკოს **ბანკის** სატელეფონო მომსახურების ცენტრში ნომერზე: +995 532 2 9090. წერილობითი ფორმით პრეტენზიის დაფიქსირებისათვის **მსესხებელს** უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი არხები: ა) ფილიალებსა და სერვისცენტრებში არსებული სტანდარტული კითხვარის შევსება, ბ) ელექტრონული ფოსტის გაგზავნა მისამართზე:

quality@republic.ge, გ) დააფიქსიროს საკუთარი პრეტენზია ბანკის ვებ-გვერდზე შენიშვნებისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად **მსესხებელს** შეუძლია დაუკავშირდეს **ბანკის** ხარისხის მართვის დეპარტამენტს ან დარეკოს ნომერზე: +995 532 2 9090; წერილობით დაფიქსირებულ პრეტენზიაზე **ბანკის** მხრიდან პასუხის მიღების ვადები მერყეობს 48 საათიდან 30 **სამუშაო დღემდე**. თუმცა საჩივრის სირთულიდან გამომდინარე, **ბანკი** უფლებას იტოვებს საბოლოო პასუხი **მსესხებელს** მიაწოდოს აღნიშნული ვადის შემდგომ, რის შესახებაც **მსესხებელი ბანკის** წარმომადგენლისაგან წინასწარ იქნება ინფორმირებული საფოსტო გზავნილით ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 13. ზოგადი დებულებები

- 13.1. **ხელშეკრულებას** (მისი **დანართების** გამოკლებით), **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს**, **ხელშეკრულების არასტანდარტულ პირობებს**, **საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებს** და ნებისმიერი **შემადგენელი ხელშეკრულების** დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება **ჯერ ხელშეკრულების არასტანდარტულ პირობებს**, შემდგომ **ხელშეკრულებას** (მისი **დანართების** გამოკლებით), შემდგომ **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს**, შემდგომ **შემადგენელ ხელშეკრულებას** და ბოლოს **საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებს**.
- 13.2. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 13.3. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** და/ან **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით**, **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** და/ან **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.
- 13.4. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** და/ან **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** და/ან **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
- 13.5. **ხელშეკრულების** (მათ შორის, მისი **დანართების**) და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** (მათ შორის, მისი/მათი დანართ(ებ)ის) რომელიმე მუხლის, პუნქტის და/ან ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** და/ან მისი/მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და/ან ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით** (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 13.6. **ხელშეკრულებაში** და/ან **შემადგენელ ხელშეკრულებაში/ხელშეკრულებებში** მხოლოდით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.
- 13.7. **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** მუხლები, პუნქტები და/ან ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და ამ ვაქტს მათი ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 13.8. **ხელშეკრულება** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ი** მისი ვალდებულებებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების თუ მემკვიდრეებისთვის/სამართალმემკვიდრეებისთვის.
- 13.9. **მსესხებელს** არ აქვს უფლება, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს ან გადააბაროს **მესამე პირს** მასზე **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **მსესხებელმა** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამოიციხავს **ბანკის** უფლებას, მიიღოს **მესამე პირისგან** შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკმა მესამე პირს** გადასცეს ინფორმაცია **მსესხებლის** მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ.
- 13.10. **ბანკს** უფლება აქვს, **მსესხებლის** თანხმობის გარეშე, **მესამე პირს** მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებით** შემენილი ნებისმიერი უფლება.
- 13.11. იმ შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 13.12. **ხელშეკრულება** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულების** არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** და/ან **შემადგენელი ხელშეკრულების** ქართულ ვერსიას.